

THE ISSUE OF DIPHTHONGS IN THE QAZAKH DIALECT OF THE WESTERN GROUP OF THE AZERBAIJANI LANGUAGE

დიფთონგების საკითხი აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში

Elvira Aslanovi

PhD student at the Institute of Caucasiology
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Ilia Chavchavadze Avenue No.19, 0179, Tbilisi, Georgia,
+995599087211, elvira.aslanovi010@hum.tsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0003-2754-8386>

Abstract. The article explores the issue of diphthongs in the Qazakh dialect of the Western group of the Azerbaijani language. A diphthong is defined as a single phonological unit formed by the combination of two distinct vowel sounds, pronounced within the same syllable. Although diphthongs are widely observed across various dialects of Azerbaijani, their existence within the language remains a subject of scholarly debate.

The study examines the phonological processes that give rise to diphthongs and provides a classification of their types. It analyzes empirical data collected through interviews with Azerbaijani-speaking individuals residing in different regions of Georgia. Descriptive and comparative research methods are employed in the analysis. The study identifies the reduction of the consonants [v] and [j] as the primary factor leading to the formation of diphthongs in the Qazakh dialect.

Diphthongs in this dialect are classified into two categories: falling and rising. Falling diphthongs typically begin with an open, high-tone vowel followed by a closed, low-tone vowel, creating a melodic movement from high to low. Conversely, rising diphthongs begin with a low-tone vowel and progress to a high-tone vowel, exhibiting an opposite phonetic trajectory. Additionally, the article discusses the phenomenon of diphthongoids — complex vowel sounds that resemble diphthongs in structure but differ in articulation. Unlike classical diphthongs, diphthongoids are not pronounced as swiftly or consistently and are considered transitional forms between monophthongs and true diphthongs.

In conclusion, the article provides a comprehensive analysis of the diphthongal system in the Qazakh dialect of Azerbaijani, supporting the presence and phonological significance of diphthongs within dialectal speech.

Keywords: Western dialect of the Azerbaijani language, Vowels, Descending and Ascending vowels, Diphthongoids, Phonetic processes.

ელვირა ასლანოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კავკასიოლოგიის ინსტიტუტის დოქტორანტი,
ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №19, 0179, საქართველო,
+995599087211, elvira.aslanovi010@hum.tsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0003-2754-8386>

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია დიფთონგების საკითხი აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში. დიფთონგი წარმოადგენს ორი განსხვავებული ხმოვნის შერწყმით წარმოქმნილ ერთიან ხმოვან ერთეულს, რომელიც ერთ მარცვალშია წარმოთქმული. დიფთონგები ფართოდ გვხვდება აზერბაიჯანული ენის სხვადასხვა დიალექტებში, თუმცა აზერბაიჯანულში დიფთონგების არსებობა მეცნიერებს შორის სხვადასხვა აზრს იწვევს.

სტატია აღწერს იმ პროცესებს, რომლებსაც დიფთონგის წარმოქმნა განაპირობებს და მისი ტიპების გამოკვლევას, ასევე განიხილება ემპირიული მონაცემები, რომლებიც მიღებულია ინტერვიუებისგან, სადაც მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები აზერბაიჯანული წარმომავლობის პირები. გამოყენებულია აღწერითი და შედარებითი კვლევის მეთოდები. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში დიფთონგების წარმოქმნის პროცესს უმთავრესად განაპირობებს [v] და [j] თანხმოვნების რედუცირება.

დიფთონგები აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში კლასიფიცირებულია დაღმავალ და აღმავალ ტიპებად. დაღმავალი დიფთონგებისთვის დამახასიათებელია ის, რომ პირველი ხმოვანი ღია და მაღალი ტონისაა, ხოლო მეორე — დახურული და დაბალი ტონის, რაც მელოდიურ მოძრაობას ქმნის მაღლიდან დაბლისკენ. აღმავალი დიფთონგები კი პირიქით — იწყება დაბალი ტონის ხმოვნით და გადადის მაღალი ტონის ხმოვანზე, რაც ჟღერადობის კუთხით საპირისპირო მიმართულებით განვითარებულ მოძრაობას ქმნის. გარდა ამისა, სტატიაში განხილულია დიფთონგოიდების არსებობაც — ეს არის ისეთი რთული ხმოვნები, რომლებიც გარკვეული მახასიათებლებით წააგავს დიფთონგებს, თუმცა მათი არტიკულაცია არ არის თანმიმდევრული და სწრაფი, როგორც კლასიკური დიფთონგების შემთხვევაში. ისინი წარმოადგენენ გარდამავალ ფორმას ერთხმოვან და დიფთონგურ სტრუქტურებს შორის.

ამგვარად, სტატიაში ხდება აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის დიფთონგების სისტემის დეტალური ანალიზი, რაც მხარს უჭერს დიფთონგების არსებობას დიალექტურ მეტყველებაში.

საკვანძო სიტყვები: აზერბაიჯანული ენის დასავლური დიალექტი, ხმოვნები, დაღმავალი და აღმავალი ხმოვნები, დიფთონგოიდები, ფონეტიკური პროცესები.

შესავალი. დიფთონგი ენის ფონოლოგიური სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. იგი ხშირად გვხვდება როგორც სალიტერატურო, ისე დიალექტურ მეტყველებაში.

დიფთონგი არის ორი განსხვავებული ხმოვნის შერწყმით წარმოქმნილი ერთიანი ხმოვანი ერთეული, რომელიც ერთ მარცვალში გამოითქმის როგორც წყვეტის გარეშე წარმოთქმული ბგერა. დიფთონგი ჰიპერკომპლექსურ ერთეულადაა წარმოჩენილი, მაგრამ დიფთონგის შემადგენელი ხმოვნები დამოუკიდებლად არ წარმოადგენენ ფონემას. დიფთონგში ხმოვნები სწრაფად იცვლება ერთმანეთში, რაც ქმნის ერთ კომპლექსურ ბგერას. ანუ, დიფთონგი გამოთქმის დროს ერთიან მარცვლად წარმოთქმული, გაერთიანებული ხმოვნური წარმომავლობის ორი მონაკვეთია. ამ ორი მონაკვეთიდან, ჩვეულებრივ, მარცვლის შექმნის უნარი აქვს შენარჩუნებული მხოლოდ ერთ ხმოვანს და ის ქმნის მწვერვალს, მეორე კი მოკლებულია ამ უნარს, იგი ქმნის მარცვლის ფერდს (ახვლედიანი, 1938: 102).

სტატიაში განვიხილავთ აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში დაფიქსირებულ დიფთონგებს. ცალ-ცალკე გამოყოფილია დიფთონგების ტიპები და ვარიანტები.

მეთოდები. კვლევა ჩატარებულია აღწერითი და შედარებითი მეთოდების გამოყენებით. აღწერითი მეთოდით შესწავლილია დიფთონგების ტიპები და მათი ფონოლოგიური პროცესები აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში. შედარებითი მეთოდი კი, გამოყენებულია განსხვავებების გამოსაკვეთად აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენასთან მიმართებაში. შესწავლილია ემპირიული მონაცემები და დიფთონგის გამომწვევი ფონოლოგიური პროცესები. ემპირიული მასალა მოიცავს როგორც „მარნეული TV-ისა“, ისე ჩვენ მიერ ჩაწერილ ინტერვიუებს. ინტერვიუებში მონაწილეობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები აზერბაიჯანული წარმომავლობის რესპონდენტი. ისინი მეტყველებენ აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტზე.

შედეგები და მსჯელობა. აზერბაიჯანული ენის დიალექტებში დიფთონგების საკითხი მრავალი მკვლევრის კვლევის საგანი გამხდარა. დიფთონგების სტატუსის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

აზერბაიჯანულში დიფთონგების არსებობის შესახებ მოსაზრებათა მიხედვით, მეცნიერთა სამი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

1. მეცნიერები, რომლებიც აღიარებენ აზერბაიჯანულ ენაში დიფთონგების არსებობას (კ. ფოი, ფ. რადლოვი, მ. რიასენინი, ა. ჯაფაროღლუ, მ. დემირჩიზადე, მ. შირალიევი, რ. რუსტამოვი, ფ. ქაზიმოვი, გ. გაჯიევი, ვ. ჯანგიძე).

2. მეცნიერთა ნაწილი, რომელსაც მიაჩნია, რომ აზერბაიჯანული ენის დიალექტებში დიფთონგი არ ფიქსირდება, მათი აზრით, არსებობს რთული, შედგენილი ხმოვნები, რომლებიც დიფთონგებს ჩამოჰკავს, მაგრამ სინამდვილეში ორკომპონენტური და ერთმნიშვნელოვანი ფონემებია (ი. აშმარინი, მ. შირალიევი, ბ. იბრაჰიმოვი, გ. გაჯიევი).

3. მეცნიერი გ. ვალიევი, რომელიც აზერბაიჯანულ ენაში დიფთონგოიდების არსებობის შესახებ საუბრობს.

საზოგადოდ ცნობილია, რომ სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში დიფთონგები არ გვაქვს¹ (Dəmirçizadə, 2007: 44), მაგრამ იგი ფიქსირდება აზერბაიჯანული ენის ყველა დიალექტში (Şirəliyev, 2008: 35).

¹ აზერბაიჯანული ხალხური ენის შექმნის პერიოდიდან გრძელ ხმოვნებთან ერთად ვითარდებოდა დიფთონგების პროცესი. აზერბაიჯანულ ისტორიულ წერილობით ძეგლებში

აზერბაიჯანულ ენაში დიფთონგებს არა აქვს ფონემატური დატვირთვა და ის, წესისამებრ, ჩნდება ორი ხმოვნის შეერთებით. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის დიფთონგიზაციის პროცესს განაპირობებს *v* და *j* თანხმოვნების რედუცირება. ამ თანხმოვნების დაკარგვის შედეგად დიფთონგების მიღება დიალექტისათვის „ერთ-ერთი უძველესი მახასიათებელია“ (Əzizov, 1999: 117). ე. აზიზოვის აზრით: „აზერბაიჯანული ენის თქმებში ზოგჯერ რთულია გრძელი ხმოვნებისა და დიფთონგად ქცეულს შორის ზღვარის დადგენა, რადგან თქმებში ასეთი ტიპის გრძელ ხმოვნებში ბგერა გამოთქმის მიხედვით არ არის ერთნაირი დასაწყისში და ბოლოში“ (Əzizov, 2016: 117).

საკვლევ დიალექტში დაფიქსირებული დიფთონგები იყოფა ორ ნაწილად: დაღმავალი და აღმავალი ტიპის დიფთონგები.

დაღმავალ დიფთონგებში შემავალი ელემენტებიდან პირველ ადგილზე მარცვლის მწერვალია, მეორეზე კი - მარცვლის ფერდი. აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში გვაქვს შემდეგი დაღმავალი დიფთონგები: [ou], [öü], [ei], [ai] და [äi]. მაშასადამე, აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში დაღმავალ დიფთონგებში პირველი ხმოვანი ღიაა, მაღალი ტონის ხმოვნებია - [o], [ö], [a], და [ä]; [e] ხმოვანი - საშუალო აწეულობისაა, ხოლო მეორე ხმოვანი - დახურული, ვიწრო, დაბალი ტონის - [u], [ü] და [i]. აქედან გამომდინარე, მეორე ბგერის არსებობა დიფთონგებში ყველგან ერთნაირი არ არის, ანუ უფრო სუსტია. ამიტომ დაღმავალი დიფთონგები შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: 1) სრულიად დაღმავალი დიფთონგები და 2) დიფთონგოიდები.

როგორც ავღნიშნეთ, [ou], [öü], [ei], [ai] და [äi] სრულიად დაღმავალი დიფთონგები [v] და [j] თანხმოვნების რედუცირებით მიიღება. ეს პროცესი შემდეგნაირად ხდება:

1) დიფთონგი [ou] მიიღება ინტერვოკალურ პოზიციაში:

• [v] თანხმოვნის რედუცირების შედეგად: govurma → g[ou]rma - ყაურმა; ovuǰ → [ou]ǰ - ხელის გული; sčovul → sč[ou]l - თაგვი; Novruz → N[ou]ruz - ნოვრუზი; hovuz → h[ou]s - ბასეინი; garovul → gar[ou]l - ყარაული; govurça → g[ou]rça - მოხრაკული; sovurmag → s[ou]rmax - გაფლანგვა;

• [j] თანხმოვნის რედუცირების შედეგად: tojug → t[ou]x' - ქათამი; sojug → s[ou]x' - სიცივე; sojutma → s[ou]tma - გაცივება; sojuduǰu → s[ou]duǰu - მაცივარი.

2) დიფთონგი [öü] მიიღება ინტერვოკალურ პოზიციაში:

• [j] თანხმოვნის რედუცირების შედეგად: söjüd → s[öü]t - ტირიფი; höjüǰ (yaş) → h[öü]ǰ - სველი; Hüsein → S/öü/n - ჰუსეინი; söjüǰ → s[öü]ǰ - გინება; döjüǰ → d[öü]ǰ - ბრძოლა; öjüd → [öü]t - დარიგება;

• [v] თანხმოვნის რედუცირების შედეგად: goz → ǰeviz → ǰ[öü]z // ǰ[öü]z - კაკალი; čevirir → č[öü]rör → č[öü]rör - ატრიალებს.

ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთნოთ სიტყვა neft → n[öü]t // n[öü]t - ნავთი [f] თანხმოვნის რედუცირებისას ვიღებთ [öü] დიფთონგს, აქ [f] → [v] და მერე რედუცირდება.

დიფთონგები იშვიათად გვხვდება. შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები „დედე ქორქუთის წიგნიდან“, მაგალითად, [oa] დიფთონგი: - g[oa]rsa - თუ ნებას დართავს, g[oa]-g[oa] - გაგდებით; [au] - gaurma - ყაურმა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული დიფთონგები გარდა აღნიშნული წიგნისა, ასევე გვხვდება სხვა ლიტერატურულ ნაშრომებშიც, მაგ., g[ou]rmi - gojurm - დებს (კითხვითი ფორმა) („ესრარანმე“, XV ს.), s[ou]g - sojug - სიცივე („შეიხ შაფი მენაგები“, XVII ს.). აქ დიფთონგი [ou] გვაქვს j თანხმოვნის რედუცირების შედეგად მიღებული (Əzizov, 1999: 135). მოყვანილი ენობრივი ფაქტები, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დიფთონგები, რომლებიც გვხვდება ლიტერატურულ ძეგლებში დღეს დასტურდება ასევე ჩვენს მიერ მოპოვებულ მაგალითებში, სხვადასხვა ვარიანტებად.

3) დიფთონგი [ei] მიიღება ინტერვოკალურ პოზიციაში:

• [j] თანხმოვნის რედუცირების შედეგად: g[~]ejin → g[~][ei]n - ჩაიცი; g[~]ejim → g[~][ei]m - ჩასაცმელი; bejin → b[e]in - ტვინი; dejinir → d[e]iner // dejner - ბუზდუნებს; dejim → d[e]im - გამოთქმა; šejim → š[e]im - ჩემი ნივთი; jejib → j[e]f - შეჭამა; xejir → x[e]r - არა; dejir → d[e]r - ამბობს.

4) დიფთონგი [ai] მიიღება ინტერვოკალურ პოზიციაში:

• ამ მაგალითებში [j] თანხმოვნის რედუცირების შედეგად სინჰარმონიზმის კანონი ირღვევა: i: gaj[~]n → g[ai]n - მაზლი, gaj[~]rma → g[ai]rma - გაკეთება;

5) დიფთონგი [äi] მიიღება ინტერვოკალურ პოზიციაში:

• [j] თანხმოვნის რედუცირების შედეგად:
älä+j+i → ä[äi] - საცერი (ბრალდ. ბრ.); bäläk²+i → bäläji → bäl[äi] - სახვევი (ჩვილის) (ბრალდ. ბრ.); küläk+i → küläji → kü[äi] - ქარი (ბრალდ. ბრ.), üräk+i → üräji → ür[äi] - გული (ბრალდ. ბრ.), däjış → d[äi]š - გამოცვალე, däjirmi → d[äi]rmi - მრგვალი, käläk+i → käläji → käl[äi] - ცბიერება.

სრულიად აღმავალი დიფთონგები არის ისეთი დიფთონგები, რომელშიც მეორე ხმოვანი მაღალია და პირველი ხმოვანი დაბალი. ეს დიფთონგები იწყება დაბალი ტონით და შემდეგ იწევს მაღალ ტონზე, ანუ, როგორც ტერმინი მოითხოვს, ეს დიფთონგები აღმავალი პროცესით ხასიათდება.

აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში ხშირად გვხვდება შემდეგი აღმავალი დიფთონგები: [ua], [uä], [oa], [öä]:

1) [ua] დიფთონგი მიიღება ინტერვოკალურ პოზიციაში:

• [v] თანხმოვნის რედუცირების შედეგად: suvag → s[ua]x // s[oa]x - ბათქაში; g[~]üvätli → g[ua]td[~] - ძლიერი; javaš → j[ua]š - ნელა; juva → j[ua] - ბუდე; čuval → č[ua]l - ტომარა; divar → d[ua]r // dohar - კედელი; javan → j[ua]n - მჭლე; juvarlag → j[ua]rlax - მრგვალი;
• [j] თანხმოვნის რედუცირების შედეგად: bu jana → b[ua]na - აქეთ; gojag → g[ua]x // g[oa]x[~] - დავდოთ.

2) [üä] დიფთონგი საკვლევ დიალექტში ხშირი მოვლენაა. გვხვდება [v] და [j] თანხმოვნების რედუცირებით ინტერვოკალურ პოზიციაში:

• [v] თანხმოვნის რედუცირების დროს: nävä → n[üä] - შვილიშვილი; ävälik → [üä]lix[~] // [öä]lix[~] - ღოღო; g[~]aval[~] → g[~][üä]li - ქლიავი; güvä → b[~]üvä → b[üä] - ჩრჩილი; nüvär → n[üä]r - სეზონური დეგუსტაცია.

გვხვდება შემთხვევა, როდესაც ამ დიფთონგს ვიღებთ [f] თანხმოვნის რედუცირებისას, შემდეგ მაგალითში - tüfäng[~] → t[üä]ng[~] - თოფი. ვფიქრობთ, აქ [f] თანხმოვანი ჯერ გადადის [v] თანხმოვანში, შემდეგ კი საერთოდ იკარგება.

• [j] თანხმოვნის რედუცირების დროს: göjäm → g[üä]m - ღოღნოშო; göjänäk → g[üä]näx[~] // g[öä]näx[~] - ლეზი, დალურჯებული ადგილი; göjarti → g[üä]rti // g[öä]rti - სიმწვანე; g[~]üjārčīn → g[~][üä]rčīn - მტრედი; d[~]üjä → d[üä] - დეკეული; ävälik → [üä]lix[~] // [öä]lix[~] - ღოღო; g[~]öjartmäk → g[~][üä]rtmäk[~] - გამწვანება; jujan → j[üä]n - მრეცხავი; j[~]üjän → j[üä]n - აღვირი;

3) დიფთონგი [oa] გვხვდება [v] და [j] თანხმოვნების რედუცირებისას ინტერვოკალურ პოზიციაში:

• [v] თანხმოვნის რედუცირების შემთხვევაში: avaz[~]d[~] → [oa]z[~]d[~] - ფერის დაკარგვა (გაუფერულება); ova → [oa] - სანადიროდ;

• [j] თანხმოვნის რედუცირების დროს: ojandı → [oa]ndı - გაიღვიძა; ojag → [oa]x - ფხიზელი; o yana → [oa]na - იქით; gojar[~]g → g[oa]r[~]x[~] - დავდებთ; dojaram → d[oa]ram - დავნაყრდებო; sojarsan → s[oa]rsan - გაფრცქვნი.

² მორფემების გასაყარზე ინტერვოკალურ პოზიციაში k თანხმოვანი გადადის j-ში.

4) [öä] დიფთონგი მიიღება ინტერვოკალურ პოზიციაში:

• [v] თანხმოვნის რედუცირების შედეგად: döväram → d[öä]räm - ვცემ; dövä-dövä → d[öä]-d[öä] - ცემით;

• [j] თანხმოვნის რედუცირების შედეგად: söjār → s[öä]r - შეაგინებს; göjārti → g[öä]rti // g[üä]rti - სიმწვანე; g`üjārčīn → g`[öä]rčīn // g`[üä]rčīn - მტრედი; ävālik → [öä]lix' // [üä]lix' - ღოღო.

როგორც მოყვანილ მაგალითებიდან ჩანს, დიფთონგებს აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში რამდენიმე ვარიანტი აქვს. ამ ვარიანტებს ქმნის დიფთონგის სუსტი კომპოზიტი. ის მერყეობს ორ ხმოვანს შორის.

დიფთონგოიდები - მოსაზრებას დიფთონგოიდების შესახებ აზერბაიჯანული ენის დიალექტებში, პირველად გაგი ვალიევის კვლევებში ვხვდებით. დიფთონგოიდები ეს არის მის მიერ აზერბაიჯანული ენის ფონოლოგიის შესწავლისას შემუშავებული კონცეფცია. ვალიევის კვლევა იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანულ ენაში გვხვდება დიფთონგოიდები, არის მნიშვნელოვანი და ღირებული. ამ კვლევაში საუბარია ისეთ რთულ ხმოვნებზე, რომლებიც დიფთონგების მსგავსად წარმოიქმნება, თუმცა გარკვეული დიფერენციით (Велиев, 1952: 5).

დიფთონგოიდებად იწოდებიან ისეთი ხმები, რომლებიც გარკვეული ხარისხით ატარებენ დიფთონგურ ხასიათს. „მათი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ხმოვანს დასაწყისში (ან ბოლოში) გააჩნია სხვა, არტიკულაციურად ახლოდებული ხმოვნის უმნიშვნელო ელემენტი, რომლის არსებობა ხმოვნის ჟღერადობას ანიჭებს გარკვეულ არაერთგვაროვან სახეს, თუმცა მაინც არ ტოვებს დიფთონგის შთაბეჭდილებას“ (Матусевич, 1948: 61).

გ. ველიევამდე აზერბაიჯანულ ენაში დიფთონგოიდების არსებობა არავის აღუნიშნავს, თუმცა აშმარინი, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანული ენის ნუხის თქმაში უარყოფდა დიფთონგის არსებობას და მიუთითებდა დიფთონგის ტიპის გრძელ ხმოვანზე. მოჰყავდა მაგალითებიც, მაგ., t[ʌ]x - ქათამი, s[ʌ]x - სიცივე, gʷg[ʌ] - ხოხობი (Ашмарин, 1926: 76). მ. შირალიევი დიფთონგის ტიპის გრძელ ხმოვნებად მიიჩნევდა ბაქოს დიალექტში [v], [j] თანხმოვნების რედუცირების შედეგად მიღებულ ხმებს, მაგ., j[ʌ]f - გარეცხა, t[ʌ]ʃ - ქათამი, s[ʌ]d - ტირიფი, bʌl[ʌ] - სამართებული, რომლებიც დიფთონგოიდებად უნდა მივიჩნიოთ.

დიფთონგოიდები არ არის ტრადიციული დიფთონგები, რაც კონკრეტულად ორი ხმოვნის კომბინაციას გულისხმობს, არამედ უფრო შედგენილი, ერთობლივი ხმოვნებია, რომელთა წარმოთქმა რთულია და ისინი დიფთონგებს ჰგავს, მაგრამ რიტმულად და ფონოლოგიურად განსხვავდება ჩვეულებრივი დიფთონგებისგან. ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და, ვფიქრობთ, ძირითადი თვისება ის არის, რომ დიფთონგოიდების პირველი ხმოვანი გრძელდება. გ. ვალიევი აღნიშნავდა, რომ აზერბაიჯანულ ენაში წარმოდგენილია რთული, კომბინირებული ხმოვნები, რომლებიც ენობრივ სისტემაში გარკვეულ როლს ასრულებენ და წარმოადგენენ ისეთ ხმოვნებს, რომლებიც:

• მოიცავს ორი ხმოვნის სინთესს, მაგრამ ისინი არ წარმოქმნიან ერთიან დიფთონგს, რადგან თითოეული ხმოვანი მაინც ინარჩუნებს თავის ინდივიდუალურ სახეს.

• მცირედ განსხვავდებიან დიფთონგებისგან იმ ნიშნით, რომ მათი წარმოთქმა ხშირად არ არის კლასიკური დიფთონგების წარმოთქმასავით სწრაფი და თანმიმდევრული.

აზერბაიჯანული ენის ყაზახურ დიალექტში ფიქსირდება ორი დიფთონგოიდი, ესენია: [õ], [õ̃].

õ - [o] არის ღია, მაგარი, ბაგისმიერი ხმოვანი, ხოლო [u] ბაგისმიერი, მაგარი, დახურული ხმოვანი.

ბ^ჰ - [ö] არის ღია, რბილი, ბაგისმიერი ხმოვანი, ხოლო [ü] ბაგისმიერი, რბილი, დახურული ხმოვანი.

ორივე დიფთონგოიდში პირველი ხმოვანი განსხვავდება მეორე ხმოვნისაგან მხოლოდ ერთი თვისებით - ღიაობა-დახურულობის მიხედვით. ბუნებრივია, რომ აქ მთავარია არტიკულაციის ასპექტი.

1) [ბ^ჰ] მიიღება ინტერვოკალურ პოზიციაში:

• [v] თანხმოვნის რედუცირების შედეგად: dovšan → d[ბ^ჰ]šan - კურდღელი; ovuž → [ბ^ჰ]ž - ხელის გული; Novruz → N[ბ^ჰ]ruz - ნოვრუზი;

• [j] თანხმოვნის რედუცირების შედეგად: gojub → g[ბ^ჰ]f - დადო; tojug → t[ბ^ჰ]x - ქათამი;

2) [ბ^ჰ] მიიღება ინტერვოკალურ პოზიციაში:

• [v] თანხმოვნის რედუცირების შედეგად: dövürdük → d[ბ^ჰ]rdüx' // d[ბ^ჰ]rdüx' - ვცემდით; goz → ževiz → ž[ბ^ჰ]z // ž[ბ^ჰ]z - კაკალი.

• [j] თანხმოვნის რედუცირების შედეგად: sojug → s[ბ^ჰ]x - სიცივე; tojug → t[ბ^ჰ]x - ქათამი; b[ბ^ჰ]j[ბ^ჰ]x' - უფროსი; Hüsein → S[ბ^ჰ]n - ჰუსეინი; o g'ünü → [ბ^ჰ]nnäri - იმ დღეს; öjüd → [ბ^ჰ]t - დარიგება.

დასკვნა. აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის ფონოლოგიური სისტემის ანალიზმა ცხადყო, რომ დიფთონგური წარმონაქმნები ამ დიალექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და დიფერენცირებულ მახასიათებელს წარმოადგენს. მოცემული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში დიფთონგების საკითხი კომპლექსურ განხილვას საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ სალიტერატურო აზერბაიჯანულ ენაში დიფთონგები ოფიციალურად არ არის დაფიქსირებული, დიალექტებში მრავალი ფონოლოგიური და არტიკულაციური მონაცემი მიუთითებს მათ არსებობაზე. დიფთონგების წარმოქმნის პროცესში მნიშვნელოვანი როლი აქვს [v] და [j] თანხმოვნების რედუქციას.

ემპირიული მასალის ანალიზის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახურ დიალექტში უფრო ხშირია დაღმავალი დიფთონგები, ვიდრე აღმავალი. აღნიშნული საკითხი კიდევ ერთხელ ადასტურებს დიფთონგური ფენომენის შესწავლის აქტუალურობას.

შედეგები ცხადყოფს, რომ აზერბაიჯანული ენის ყაზახური დიალექტის დიფთონგური სისტემა მაღალი დიფერენცირებით ხასიათდება, რაც გამოვლინდება როგორც დიფთონგების სხვადასხვა სახეობებში, ასევე მათი წარმოქმნის პროცესებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია დაღმავალი დიფთონგების მრავალფეროვნება, რომლებიც ხშირად გვხვდება ინტერვოკალურ პოზიციაში და განსხვავებული ხმოვანთა კომბინაციით გამოიხატება. აღმავალი დიფთონგები შედარებით ნაკლებად გავრცელებულია, თუმცა მათი არსებობა დიალექტისათვის მაინც დამახასიათებელია.

განსაკუთრებით საინტერესოა დიფთონგოიდების საკითხი, რომელიც აზერბაიჯანულ ენათმეცნიერებაში ნაკლებად შესწავლილი მიმართულებაა. სტატიაში მოყვანილი მონაცემები ადასტურებს, რომ დიფთონგოიდები წარმოდგენილია როგორც სპეციალური ჯგუფი, რომელთაც განსხვავებული არტიკულაციური მახასიათებლები გააჩნიათ და ისინი ჩვეულებრივი დიფთონგებისგან განსხვავებული ტიპის ფონეტიკურ ერთეულს ქმნიან.

ამრიგად, ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ აზერბაიჯანული ენის დასავლური ჯგუფის ყაზახური დიალექტის დიფთონგური სისტემა საკმაოდ მრავალფეროვანი და მდიდარია, რაც დიალექტისათვის ინდივიდუალურ სახეს ქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა

- ახვლედიანი, გ. (1938). *ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები*. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Ашмарин, Н.И. (1926). *Общий обзор народных тюркских говоров гор. Нухи*. Баку.
- Велиев, А. Г. (1952). *Говоры западных районов Апшеронского полуострова* (автореф.). Москва.
- Матусевич, М. И. (1948). *Введение в общую фонетику*. Ленинград.
- Azərbaycan dilinin qərb qrupu dialekt və şivələri*. (1967). Bakı.
- Dəmirçizadə, Ə. (2007). *Müasir Azərbaycan dili. Fonetika. Orfoepiya. Orfoqrafiya*. I hissə. Bakı. Şərq-Qərb.
- Əzizov, E. (2016). *Azərbaycan dilinin tarixi dialektologiyası*. Bakı. Elm və Təhsil.
- Şirəliyev, M. (2008). *Azərbaycan dialektologiyasının əsasları*. Bakı. Şərq-Qərb
- Xəlilli, Ə. (2015). *Azərbaycanca-Gürcüca lüğət*. Bakı. Elm və Təhsil.

REFERENCES

- akhvlediani, g. (1938). *zogadi da kartuli enis ponet'ik'is sak'itkhebi [Issues of General and Georgian Language Phonetics]*. Tbilisi: State University Press.
- Ashmarin, N.I. (1926). *Obshhij obzor narodnyh tjurkskih govorov gor. Nuhi [General Overview of the Folk Turkish Dialects of the Nukh Region]*. Baku.
- Veliev, A. G. (1952). *Govory zapadnyh rajonov Apsheronского poluostrova (avtoref.) [Dialects of the Western Regions of the Absheron Peninsula (Author's Abstract)]*. Moscow.
- Matusевич, M. I. (1948). *Vvedenie v obshhuju fonetiku [Introduction to General Phonetics]*. Leningrad.
- Azərbaycan dilinin qərb qrupu dialekt və şivələri*. (1967). Bakı.
- Dəmirçizadə, Ə. (2007). *Müasir Azərbaycan dili. Fonetika. Orfoepiya. Orfoqrafiya*. I hissə. Bakı. Şərq-Qərb.
- Əzizov, E. (2016). *Azərbaycan dilinin tarixi dialektologiyası*. Bakı. Elm və Təhsil.
- Şirəliyev, M. (2008). *Azərbaycan dialektologiyasının əsasları*. Bakı. Şərq-Qərb
- Xəlilli, Ə. (2015). *Azərbaycanca-Gürcüca lüğət*. Bakı. Elm və Təhsil.